

თავი I. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკა

ერთიან სტატისტიკურ ანგარიშში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო წარმოადგენს სტატისტიკურ ინფორმაციას ორი მიმართულებით: პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ანუ პენიტენციური და არასაპატიმრო სასჯელაღსრულებითი ანუ საპრობაციო სტატისტიკა. თითოეულ მიმართულებაში სტატისტიკური ინფორმაცია დაყოფილია სასჯელის მოხდის მიმდინარეობის სხვადასხვა ასპექტის მიხედვით.

მონაცემების შეგროვება ხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის სტატისტიკის, კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მიერ შემუშავებული მონაცემთა აღრიცხვის ცხრილების საშუალებით.

ტექსტში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

ბრალდებული - პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

მსჯავრდებული - პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

მსჯავრდებული/ბრალდებული - პირი, რომლის მიმართ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება პატიმრობის ან სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესახებ.

თავისუფლების აღკვეთა - დამნაშავის საზოგადოებისგან იზოლაცია და კანონით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსება.

არასაპატიმრო სასჯელები - ჯარიმა; თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; იურიდიული პირისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა; გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა; შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგი.

პრობაციის ღონისძიებები - პირობითი მსჯავრის დანიშვნა; სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება; სასჯელის მოხდის გადავადება (ორსული ქალისათვის - მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე); თავისუფლების აღკვეთის შემდგომი საპრობაციო ვადის დანიშვნა.

არაპატიმარი მსჯავრდებული - არასაპატიმრო სასჯელით მსჯავრდებული/პრობაციის ღონისძიება შეფარდებული პირი.

რესოციალიზაცია - მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებელი წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება - მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

პენიტენციური სტატისტიკა

ზოგადი სტატისტიკური მონაცემები:

- სქესობრივი ჯგუფების მიხედვით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის პროცენტული შედარება საქართველოს მოსახლეობასთან;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიები;
- ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივი ჯგუფების მიხედვით;
- არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ ჭრილში;
- მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიის მიხედვით;
- მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში;
- მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის შედარება დაწესებულებებში განთავსების დადგენილ ლიმიტებთან;
- უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები;
- უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში;
- წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;
- დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

რაოდენობის ცვალებადობა დინამიკაში:

- პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანილი ბრალდებულები და მსჯავრდებულები;
- პენიტენციური სისტემიდან გასული ბრალდებულები და მსჯავრდებულები;
- პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გასული მსჯავრდებულები სქესობრივ ჭრილში;
- შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებული მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;
- ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

მზადება საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის:

- რესოციალიზაციის მიმდინარეობა - განხორციელებული პროგრამები/ღონისძიებები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში;
- შრომა - სამეურნეო სამუშაოებში დასაქმებული მსჯავრდებულები სქესობრივი ჯგუფებისა და ანაზღაურების მიხედვით.

დისციპლინური, წახალისებისა და პაემნის ღონისძიებები:

- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული დისციპლინური სახდელები;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული წახალისების ფორმები;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული პაემნის ღონისძიებები.

კრიმინოგენური მდგომარეობა:

- პენიტენციურ დაწესებულებებში და დაწესებულებების გარეთ მომხდარი დანაშაულები;
- დანაშაულებრივი ფაქტები, რომლებზეც დაიწყო გამოძიება პირთა ასაკობრივი ჯგუფების მიმართ.

ჯანმრთელობის დაცვა:

- დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში;
- დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში (სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში);
- სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა გარდაცვალების შემთხვევები;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა გარდაცვალების შემთხვევები ადგილმდებარეობისა და თარიღების მიხედვით.

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა

ზოგადი სტატისტიკური მონაცემები:

- არაპატიმარი მსჯავრდებულები შეფარდებული ღონისძიების მიხედვით რეგიონულ ჭრილში;
- არაპატიმარი მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით რეგიონებში;
- საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში;
- არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში;
- არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში;
- უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები მოქალაქეობის მიხედვით რეგიონულ ჭრილში;
- უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში.

რაოდენობის ცვალებადობა დინამიკაში:

- არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება შეფარდებული ღონისძიების მიხედვით

რეგიონულ ჭრილში;

- არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება შეფარდებული ღონისძიების მიხედვით სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში;
- დასრულებული საქმეები საფუძვლის მიხედვით რეგიონებში;
- დასრულებული საქმეები საფუძვლის მიხედვით სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში (საერთო, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ);
- არაპატიმარ მსჯავრდებულთათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და მსჯავრდებულისთვის ნასამართლობის მოხსნა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში რეგიონების მიხედვით;
- არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში რეგიონების მიხედვით;
- ამნისტირებული არაპატიმარი მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში რეგიონების მიხედვით.

მზადება საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის:

- არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება რეგიონებსა და სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში;
- არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით რეგიონულ ჭრილში.

შინაპატიმრობა:

- შინაპატიმრობის შეფარდება სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით რეგიონულ ჭრილში (საერთო);
- შინაპატიმრობის შეფარდება სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით რეგიონულ ჭრილში - შემოსული/დასრულებული საქმეთა რაოდენობა.

შემსრულებელი: სტატისტიკის, კვლევისა და ანალიზის სამმართველო

მაგული აბუაშვილი

21.05.2018 წელი